

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 270/03

25. 04 2013წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად და “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების სიის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 აპრილის № 135 ბრძანების გათვალისწინებით

ებრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნან შემდეგი მოქალაქეები:

1. ალფა ენტონი ისანგ – ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
2. აშიედუ რიჩმონდი ორუმადე – ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
3. ფეივორ ოსინაჩი ჯონაჰ - ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
4. რიჩი ფერეოვეი ბარუგუ - ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
5. გოსპელ ეზეჩიკა იბეველი - ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
6. აშრაფ თ. შარიფ – ერაყის რესპუბლიკა;
7. საადემ სამირ იბრაჰიმ აღნაიმი – ერაყის რესპუბლიკა;
8. ტამუნო კომფორტ გოდნოუს - ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;

II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას ერაყის მოქალაქე მარვაჰ აიად მაჰდი მაჰდი.

III. ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2013 წლის 20 აპრილამდე.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს დ. ბერაშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი